2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

ცნობილია, რომ სწორად და მიზნობრივად შემუშავებული გეგმები მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. ამ მიზნით წარმოგიდგენთ 2023 წლის 07 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ ერთწლიან სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს.

შპს „მზეკაბანი 2" რუსთავის კერძო სკოლამ გასული სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შედგენისას იხელმძღვანელა შვიდწლიანი (2017-2023) წლების სტრატეგიული გეგმით, გარდა ამისა გაითვალისწინა ახალი გამოწვევები და მეტი განვითარებისთვის გამოყო ხუთი ძირითადი მიმართულება. ესენია:

1. სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება;
2. სასკოლო დოკუმენტაციის შემუშავება/განახლება და ორგანიზაციული განვითარება;
3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
4. უსაფრთხო ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
5. მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და დაინერგა მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების სისტემა. ეროვნული სასწავლო გეგმისა და ახალი სკოლის მოდელის მონაცემების გათვალისწინებით მოხდა საგაკვეთილო პროცესის მოდერნიზაცია ახალი მეთოდების გამოყენებით. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ინტეგრირებულ სწავლებაზე.

გავაძლიერეთ შიდა კონტროლი სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე სკოლის მიერ ესგ-ით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო / ან ესგ-ით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო მომსახურებების ეფექტურ დანერგვაზე (არჩევითი საგანი „მეწარმეობა" – III საფეხურზე, წიგნიერება და ჭადრაკი - დაწყებიო საფეხურზე, სამშობლოსმცოდნეობა - საბაზო საფეხურზე და სხვ.)

ინგლისური ენის უკეთ შესწავლის მიზნით საქართველოს განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით ყველა კლასის საათობრივ ბადეში დატვირთვა გაეზარდათ თითო საათით. გარდა სასკოლო სახელმძღვანელოსი, პედაგოგების მხრიდან ხდება დამატებითი არასასწავლო ლიტერატურის გამოყენება სასწავლო რესურსად.

სწავლების ხარისხის კონტროლის მიზნით ჩატარდა II-III საფეხურის მოსწავლეთათვის სადიაგნოსტიკო წერები თითქმის ყველა ძირითად საგანში. მოხდა შედეგების

განხილვა-გაანალიზება მოსწავლეებთან და მშობლებთან ერთად. პედაგოგიურმა საბჭომ საკითხი განიხილა და დასახა გამოსწორების გზები.

სკოლას აქვს მდიდარი ლაბორატორია, სადაც მიმდინარეობს ფიზიკა-ქიმია-ბიოლოგიის სწავლება. მეტი კონტროლი და დახმარება გავუწიეთ აღნიშნული საგნების სწავლის დონის ამაღლებას და სასწავლო პროცესში პრაქტიკული მეცადინეობების სისტემატიურ წარმართვას საგაკვეთილო მასალასთან მიმართებაში.

საანგარიშოპერიოდში ჩატარდა გეგმიური სასწავლო აქტივობები: მიზნობრივი ექსკურსიები, სპორტული ღონისძიებები, მოეწყო გამოფენები, საინტერესო შეხვედრები და სხვა.

პირველი პროგრამული მიმართულების (სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია) შესაბამისი ამოცანების განხორციელების მიზნით, სკოლაში გეგმით დასახული მიზნები სრულად იქნა განხორციელებული.

მოხდა სასკოლო საგნობრივი კურიკულუმების, კათედრების, შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებების და სხვა გეგმების შემუშავება, დამტკიცება, განხილვა სათანადო ორგანოების მიერ, ზრუნვა მათ განხორციელებაზე.

კრიტიკულად გადაიხედა და საჭიროებისდა მიხედვით დაკორექტირდა სკოლის სამართლებრივი დოკუმენტაცია.

საანგარიშო პერიოდში გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, განახლდა, კეთილმოეწყო და გარემონტდა შენობის გარკვეული უბნები, შეძენილ იქნა ახალი ინვენტარი (მერხები, დაფები) მოწესრიგდა ვიდეო კამერები, გაიზარდა მათი რაოდენობა, მოწესრიგდა გაყვანილობა.

ბიბლიოთეკა შეივსო კლასგარეშე ლიტერატურითა და მშობლების შემოწირული სახელმძღვანელოებით, რაც უფასოდ გადაეცემა მოსწავლეებს. ამ მხრივ ყურადღებას ვამახვილებდით სოციალურად დაუცველ ოჯახებზე, რაც მშობელთა კომიტეტის დიდი დახმარებით შესრულდა კიდეც.

საანგარიშო პერიოდში მეტი ყურადღება მიექცა უსაფრთხო, ორგანიზებული გარემოს შექმნას. დამტკიცდა საქ. შსს საგანგებო სიტუაციების გეგმა, რომელიც სკოლის მიერ იქნა წარდგენილი აღნიშნულ ინსტანციაში. დაისახა მრავალი ღონისძიება ამ მიმართებით.

სისტემატიურად ხდებოდა სკოლის სველი წესით დალაგება-დასუფთავება, ინფექციის პრევენციის მიზნით კვირაში ერთხელ მიმდინარეობდა სადეზინფექციო საშუალებებით სველი წერტილების დამუშავება.

სახანძრო უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სკოლაში შეიცვალა ელექტროგაყვანილობები, განახლდა საევაკუაციო გეგმები, მოხდა სახანძრო დეტექტორებისა და სათანადო აპარატურების, საევაკუაციო გამანათებელი მოწყობილობების დაყენება სკოლის დერეფნებსა და გასასვლელებში. ქიმიური სითხით დამუშავდა შენობის სხვენი და სარდაფი. მოქმედებს ვიდეო-კამერები, როგორც შენობაში, ისე შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე. თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთა პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით საშტატო განრიგში შევიდა ცვლილება და დაემატა ამ საქმის მაღალი რანგის სპეციალისტი-ოფიცერი, რომელმაც სათანადოდ გადაამზადა სკოლის სასწავლო საზოგადოება - მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი. სკოლის ორმა პედაგოგმა მიიღო სერთიფიკატი ამ საკითხზე ტრენინგის გავლით არასამთავრობო ორგანიზაციისგან.

საანგარიშო პერიოდში ხდებოდა სასკოლო მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება, მარეგულირებელ დოკუმენტებში მითითებული საკითხების რეალიზება, მმართველობის სწორი და ეფექტური დელეგირება.

მნიშვნელოვანი იყო საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული აქტიურობა მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ. ისინი მუშაობდნენ წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით, ტარდებოდა საინტერესო კულტურული, მხატვრული და სპორტული ღონისძიებები.

მოხდა მშობელთა უმეტესი ნაწილის აქტიური ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში, თუმცა ამ მხრივ, მაინც ვერ შევძელით მაქსიმუმის მიღწევა, კლასის ხელმძღვანელებისა და მშობელთა პასიურობისა და მოუცლელობის გამო, რაც უმეტესწილად მათ სამსახურთან არის დაკავშირებული. სკოლაში წესად იქნა შემოღებული სასწავლო წლის ბოლოს მშობელთა ერთობლივი კონფერენციის ჩატარება პედაგოგებთან ერთად, ნაკლოვანებათა გაანალიზება და სათანადო მიგნებების განხორციელება გამოსწორების მიზნით, ასე მოხდა ახლაც, საანგარიშო პერიოდში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა „მზეკაბანი 2"-ის 2023-2024 ს.წ-ის გეგმის ამოცანების უმეტესობა წარმატებით განხორციელდა, თუმცა გამოიკვეთა ახალი გამოწვევები რომელთა გათვალისწინებაც აუცილებლად მიგვაჩნია სამომავლოდ.

კერძოდ:

სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდა;

უმიზეზოდ გაცდენებისა და დაგვიანებების აღმოფხვრა;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

სკოლის მუშაობის წარმართვა ეროვნული სასწავლო გეგმის და თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე;

მოქნილი ინფორმაციული კავშირების მოწესრიგება, როგორც მშობელთან, ისე მთლიანად სასკოლო საზოგადოებასთან.

სკოლის დირექტორი: ბელა გოცირიძე.